# თავისუფალი საქართველო

№ 19

28 მაისი - 3 ივნისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიტიკური ძვრების მოლოდინი კომუნისტური მაისობის ფონზე

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი თარიღია. როგორი მოდუნებული, შესუსტებულიც არ უნდა ჩანდეს საერთო პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა, ამ დღისვის, თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევითო, ყველა ძალა ერთდროულად აქტიურდება.

ტრადიციულ მიტინგებს წელს რამდენიმე პოლიტიკური ინიციატივა დაემატა: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, კანონიერი ხელისუფლების მომხრე ეროვნული ძალების გამთლიანების მიზნით, წამოაყენა ინიციატივა ერთობლივი კონსულტაციების თაობაზე და გამოაცხადა მორატორიუმი ყოველგვარ ურთიერთგამთიშველ ქმედებაზე. განდგომილმა ეროვნულმა პარტიებმა, რომლებმაც უახლოეს წარსულში მეტად არასახარბიელო როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში, 26 მაისის წინა დღეებში გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება ხმამაღალი სათაურით "მონანიება".

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, გამომდინარე მწარე გამოცდილებიდან, იოლად ველარ ვექცევით სასიკეთო დაპირებათა პოლიტიკური ხიბლის ქვეშ. აღარავის აქვს ჩვენს ქვეყანაში იმოდენა ავტორიტეტი, რომ ოდენ სიტყვის ხარჯზე ვირწმუნოთ მისი კეთილი ნების უტყუარობა.

და მაინც... თვითონ რეალობა გვკარნახობს, რომ საზოგადოება, რომელიც უკიდურესად დანაწევრებული, დაშორიშორებული, დაპირისპირებული, განდგომილია ერთმანეთისგან, აუცილებლად კარგავს თავის მთავარ არსს და ადამიანთა არაცხოვრებისუნარიან, უმომავლო კრებულად იქცევა, რაც უპირობო მოქალაქეობრივ სიკვდილს უქადის როგორც მთლიანად საკრებულოს, ასევე ყოველ ცალკეულ პიროვნებას მასში შემავალს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში დაუდგება აუცილებლობა სერიოზულად გაერკვეს საკითხში - წარმოადგენს ძარღვს საზოგადოებრივი ცხოვრებისას, რომელსაც ძალუძს ქვეყანაში პოლიტიკური ამინდის მართვა თუ, უბრალოდ, გროვას ადამიანებისას, შემთხვევითობის გამო ამოტივტივებულს პოლიტიკურ ასპარეზზე.

26 მაისი გახდა ის დღე, რომელმაც შესაძლოა საფუძველი დაუდოს საქართველოში პოლიტიკურ ძალთა თვითგამორკვევის უმნიშვნელოვანეს ეტაპს. ღმერთმა ქნას, ეს მცდელობა ჩვენი საერთო გამარჯვებით დამთავრდეს.

კონსოლიდაციის გზით ეროვნულ ძალთა გააქტიურების აუცილებლობის მოლოდინი თუ მოთხოვნილება იმდენად დიდია საზოგადოებაში, რომ ყველა მიმდინარე მოვლენას დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს.

26 მაისს პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" ვაკის პარკში გამართა ამ დღის აღსანიშნავი მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებაში შემავალ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, ბატონები - თენგიზ კიკაჩეიშვილი, ვახტანგ ჭითავა, რამინ როგავა, გოჩა კელენჯერიძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი და სხვები. მიტინგი, ტრადიციისამებრ, პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.

სამი საათისთვის მიტინგს შეუერთდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წარმომადგენლები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ პრესაში ადრე გამოქვეყნებული მორატორიუმის ფარგლებში სიტყვით მიემართათ საზოგადოებისთვის, მაგრამ მათსა და "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა და ჰელსინკელებს მიტინგზე გამოსვლის საშუალება არ მიეცათ. მათ დატოვეს მიტინგი და მერაბ კოსტავას საფლავისკენ გაემართნენ.

შექმნილ ვითარებაში "ზვიადის პარტიის" დროებითმა თავმჯდომარემ, ქალბატონმა ლეილა ცომაიამ საკუთარი მეგაფონის საშუალებით აუწყა საზოგადოებას თავისი პარტიის მზადყოფნა, ჩაერთოს ეროვნულ ძალთა ერთობლივ კონსულტაციებში. საერთო დაბნეულობის ატმოსფეროში მომიტინგენი დაიძრნენ მთაწმინდის პანთეონისკენ. გზაში პოლიციასა და მომიტინგეთა შორის მოხდა ინციდენტი - პოლიციელებმა სასტიკად სცემეს და შემდეგ ვაკის რაიონის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს მიტინგის მონაწილე სტუდენტი ლადო სულაბერიძე. "სამართალდამცავთა" განრისხების მიზეზი გახდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას ეროვნული დროშა, რომელიც ამ ახალგაზრდას ეპყრა ხელთ.

მთაწმინდაზე ტვერელის ეკლესიის მღვდელმა მამა კონსტანტინემ გადაიხადა მერაბ კოსტავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელსაც ესწრებოდნენ ჰელსინკის კავშირის წევრები. კავშირის წევრმა ანა ჭავჭავაძემ ვაკის პარკის მიტინგისთვის მომზადებული მოკლე სიტყვა იქვე გამართულ მიტინგზე წარმოთქვა. მომიტინგეებმა იმღერეს მერაბის საყვარელი "შავლეგო" და ჰიმნად ქცეული "ჩემო კარგო ქვეყანავ".

რაც შეეხება ოფიციოზის დღესასწაულს, იგი ტრადიციული კომუნისტური "მაისობის" სცენარით ჩატარდა - თავისი პარადით, "სახალხო სეირნობებით", კონცერტებით ღია ცის ქვეშ, ტაშ-ფანდურით, ცეკვა-თამაშით... ერთი სიტყვით, მოჩვენებითი კეთილდღეობის სრული ატრიბუტიკით.

სიყალბით შეფერილ ამ ილუზორულ ჰარმონიაში მძლავრი დისონანსი შეიტანა მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების მიერ გადმოცემულმა ცნობამ მშვიდობიან მომიტინგეთა სასტიკი დარბევის შესახებ.

წლევანდელმა 26-მა მაისმა, ყველა იმ ურთიერთსაპირისპირო ვნებით, რომელიც ერთმა მოკლე დღემ დაიტია, კიდევ ერთხელ მწარე სინანულით დაგვაფიქრა ჩვენს გაორებულ აწმყოსა და უცნაურად გაურკვეველ მომავალზე.

## სიყვარული გაგვამარჯვებინებს

დღეს 26 მაისია.

დღე საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა.

დღე ქართველთა ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადებისა.

დღე ერის რჩეულის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევისა.

ზვიადისა და მერაბის ტარიელ-ავთანდილობის დღეა. ქართული სახელმწიფოებრიობისთვის მეოცნებე და მებრძოლი ამ ორი რაინდის უმტკიცესი მეგობრობა დაედო საფუძვლად ჩვენს ბრძოლას, ჩვენს გზას.

მთელი ეს ბინძური სამყარო მომართული იყო მათ წინააღმდეგ, მათ დასაპირისპირებლად, მათ გასახლეჩად. ებრძოდნენ ძალითაც და მზაკვრობითაც, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს - ყველა ხრიკს სძლია მათმა ერთმანეთისადმი ერთგულებამ. ერთს სირცხვილის გზა განუმზადეს, მეორეს - სიშლეგის, მაგრამ მაინც ვერ გაგლიჯეს, მაინც შეიყარნენ და შეუტიეს სიბილწის სათავეს, სძლიეს ქაჯეთი.

სიკვდილით უნდომეს დაშორება, მაგრამ აქაც ვერას გახდნენ, ვერც სიკვდილით გააცალკევეს და კვლავ ერთსულ იბრძოდნენ სანუკვარი სატრფოს გამოსახსნელად.

ახლაც, ერთს სათნო გმირის გვირგვინს არგებენ, მეორეს კი - კაცთმოძულე დიქტატორისას, მაგრამ ფუჭია ყოველი მცდელობა, განუყოფელნი არიან ქრისტესმიერი ძმები.

ჩვენც ასე უნდა ვიყოთ, ძმანო და დანო! ჩვენც ისე მტკიცედ უნდა დავდგეთ გვერდიგვერდ, როგორც ზვიადმა გვითხრა - ნემსიც ვერ უნდა ჩავარდესო ჩვენს შორის. ისე უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რომ ვერ შეძლონ ჩვენი დაშორება, ერთმანეთისგან გამოგლეჯა.

ისეთი თავდადებით უნდა ვიბრძოდეთ, რომ თითოეულის ცალ-ცალკე სიკვდილში ეძიებდეს გადარჩენას ჩვენი სამშობლოს შემმუსვრელი ურჩხული და ვერ ეწიოს საწადელს. ყოველი ერთის დაკარგვა სისხლად უნდა გვდიოდეს ყველას, ერთს მეორე შეენაცვლოს, მეორეს - მესამე, მესამეს - მეოთხე და ასე ერთსულ, ერთხორც ვიბრძოდეთ...

ეს გვიხსნის ჩვენ, ეს იხსნის განსაცდელში მყოფ ჩვენს ქვეყანას. ამ თანადგომის გარეშე, უცილობელ დავმარცხდებით. მხოლოდ სიყვარული გაგვამარჯვებინებს, მხოლოდ სიყვარული გაგვაერთიანებს - ისეთი ძლიერი და უდრეკი, როგორიც მერაბისა და ზვიადის ქრისტესმიერი სიყვარულია.

*ანა ჭავჭავაძე*



*რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითოეულს ჩვენგანს - გვინდა თუ არა - სხვის გამკითხველადა ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია - რა დიდ-ძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს და სწორედ აქ არის სათავეც ყოვლის უბედურობისა. იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმომდგარი.*

**ილია**

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიმართვა

კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შექმნილია რთული და კრიზისული მდგომარეობა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მიმართული იყოს საქართველოს შიდა და გარე მტრების წინააღმდეგ, მოძრაობის პოლიტიკური სპექტრის ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, გადასულია ურთიერთშეურაცხყოფაზე, რისთვისაც არ ერიდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებასაც.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისა და ეროვნული მოძრაობის გამთლიანების მიზნით, საქართველოს ჰელსინკის კავშირი აცხადებს ერთთვიან მორატორიუმს - 26 მაისიდან 26 ივნისამდე; საინფორმაციო საშულებების გამოყენებით არ გასცემს პასუხს ჰელსინკის კავშირის წინააღმდეგ წამოწყებულ ნებისმიერ ქმედებას და, ეროვნული ძალების გამთლიანების მიზნით, იწყებს კონსულტაციებს ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც აღიარებს:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სრული დამოუკიდებლობის პრინციპს;
2. 1991-92 წლებში საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას, როგორც რუსეთის მიერ ინსპირირებულს;
3. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობას.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაერთიანებებს, რომლებიც აღიარებენ ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს, გამოიჩინონ კეთილი ნება, შეუერთდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიერ გამოცხადებულ მორატორიუმს და დავიწყოთ აქტიური პოლიტიკური კონსულტაციები ეროვნული ძალების გამთლიანებისა და ანტიიმპერიული ძალების მობილიზაციისთვის, რასაც დიდი ხანია ელოდება სრულიად საქართველო.

*22 მაისი, 1996 წელი.*

# მოდიოდა თაობა სხვანაირი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გ. ჭანტურიას სიკვდილის შემდეგ საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვი იმის შესახებ, რომ პარტია ვერ შეინარჩუნებდა ერთიანობას - მართლდება. ედპ გაიხლიჩა ორ ბანაკად, რომელთა სათავეებში გარდაცვლილი თავმჯდომარის თანამეცხედრე ირინა სარიშვილი და პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ექსპოლიაკვანი მამუკა გიორგაძე დგანან.

წელიწადნახევრის განმავლობაში "მკაცრად სტრუქტურირებული და სტაბილური პარტია" - ედპ გულმოდგინედ ცდილობდა მის წიაღში არსებული დაპირისპირებების დამალვას და ამაყად აცხადებდა - პარტიის ერთიანობას არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო. როგორც ახლა ირკვევა, დაპირისპირება პარტიაში არსებულ დაჯგუფებებს შორის ფრიად სერიოზულ ხასიათს ატარებდა და ძირითადად ფინანსურ მხარესთან იყო დაკავშირებული (პარტიის წევრთა ქუჩის კამათებში ხშირად გაისმოდა ფრაზა მამუკა გიორგაძის "ლაპის" შესახებ. რომელიც პარტიის ფინანსებზეა დადებული). თავის მხრივ, გიორგაძის მომხრეები ირინა სარიშვილს ავტორიტარიზმში და პარტიის წესდების დარღვევაში ადანაშაულებენ. სრულიად დასაშვებია, რომ ორივე მხარე ჭეშმარიტებას ღაღადებდეს.

სანამ ედპ-ს დაშლის უმთავრეს მიზეზს ვიტყოდეთ, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ამ პარტიის გმირული წარსული. ეროვნული ხელისუფლების დროს ქართველი მაძინისტები (ასე უწოდებდნენ ისინი საკუთარ თავს) სუპერრადიკალიზმით გამოირჩეოდნენ. მოითხოვდნენ რუსეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და ამ მიზნით კარვებიც კი დასცეს ქალაქის სხვადასხვა უბნებში. მაძინისტები შეუდრეკლად ამხელდნენ შევარდნაძე-გამსახურდიას მითურ ალიანსს და საქართ ელოს კანონიერ პრეზიდენტს ეროვნული ინტერესების ღალატში სდებდნენ ბრალს.

აღსანიშნავია, რომ ამ მტკიცე ანტიიმპერიალისტურ პოზიციას ედპ-სთვის ხელი არ შეუშლია იმპერიის მიერ წარმოგზავნილ მარიონეტ შევარდნაძესთან წარმატებულ და თბილ ურთიერთობაში. 1991-92 წლების კრიმინალურ-კომუნისტურ რევოლუციას მათ "სახალხო აჯანყება" უწოდეს და ავტომატიან ინტელიგენციასთან ერთად შეეგებნენ ბერლინის კედლის დამანგრეველს თბილისის აეროპორტში.

სწორედ აქედან იწყება განსაკუთრებულად "ნათელი" პერიოდი პარტიის ცხოვრებაში. ედპ აქტიურად თანამშრომლობდა ე. შევარდნაძესთან. გარკვეული ხნის განმავლობაში ირინა სარიშვილი მისი მთავრობის ვიცე-პრემიერიც კი იყო. ედპ-ს გმირულ იმიჯს გამორჩეულად ჰეროიკული ხასიათი მიეცა სახელგანთქმულ წარმოდგენაში - "არ ავლოკავ - ცოტა მაინც ალოკე - ჩვენ ავლოკავთ - დაიჩოქეთ!", სადაც ი. სარიშვილს ეპყრა დირიჟორის გრძნეული ჯოხი. ასე ჩააყენა ე. შევარდნაძემ "ნეობოლშევიზმთან" მებრძოლი ეროვნულ-დემოკრატები მოდერნიზებული იმპერიის სწრაფი და უმტკივნეულო აღდგენის სამუშაოებში.

სწორედ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის და შევარდნაძესთან დამეგობრების შემდეგ დაიწყო პარტიის კვდომა. ახლა დაპირისპირებული მხარეები ერთიმეორეს ჩუმ-ჩუმად შევარდნაძესთან კავშირს აბრალებენ. რა, სამარცხვინოა დიდ პოლიტიკოსთან თანამშრომლობა? ედპ-სგან ცოტა უცნაურია ამგვარი საყვედურების მოსმენა.

რა თქმა უნდა, კიდევ მრავალ ბრალდებას გავიგონებთ, მრავალ მოტივსაც დაასახელებენ პარტიული კრიზისის მიზეზად, მაგრამ არის ერთი უმთავრესი მიზეზი - **ზნეობრივი პრინციპების სრული უგულებელყოფა და საქართველოს ნგრევაში მონაწილეობის მიღება.**

ედპ იშლება. დამნაშავის ძებნა უკვე დაწყებულია. მაინც ვინ არის დამნაშავე?

გ. ჭანტურიას საყვარელი ფრაზა - ანდაზის მიხედვით, თევზი ყროლდება თავიდან. - მაგრამ ახლა ედპ-ს ორი თავი აქვს. ორთავიანი თევზი, ალბათ, ორივე თავიდან ერთად აყროლდება.

*ნუგზარ წიკლაური*

# სასამართლო დარბაზიდან აძევებენ...

**აძევებენ ნებისმიერს, ვინც გაიცინებს, გაიღიმებს ან თუნდაც გადაუჩურჩულებს გვერდით მჯდომს. უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ორივე პოლიტიკურ პროცესზე მოსამართლეების ალექსანდრე ალადაშვილისა და ჯემალ ლეონიძის მიერ მიღებული ეს დამსჯელი ზომები თავდაპირველად დამსწრე მოქალაქეებს შეეხო, შემდეგ განსასჯელებს და ბოლოს ჟურნალისტებსა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების დამკვირვებლებს**

## მოსამართლე ითავსებს ბრალმდებლისა და პოლიციის ფუნქციებს

მას შემდეგ, რაც სოსო ჟღენტმა აშკარა ზნეობრივი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ვითომდა დახვრეტების მოწმე ბონდო კუტალიას დაკითხვამ სრულად წარმოაჩინა პროკურატურის უნიათობა, სასამართლოს სცენარის ავტორებმა აქცენტი კვლავ დარბაზში უწესრიგობის პროვოცირებაზე გადაიტანეს. მოსამართლე ალადაშვილის ყურადღებას რა ხანია აღარ იპყრობს აღარც მოწმეთა ჩვენებები, აღარც ბრალმდებელთა საგანგებო არაკომპეტენტურობა. როგორც ჩანს, იგი უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ პროკურატურის წარმომადგენელთა მიერ დაზეპირებულ, ზედმიწევნით გათვლილ სცენარს იოლად არღვევენ განსასჯელები - თავიანთი სიმართლის, გამჭრიახობისა და ნიჭიერების წყალობით. ამიტომ მოსამართლის მთელი ყურადღება დარბაზზეა გადატანილი და დაკითხვების დროს, როდესაც დაცვის მხარე აშკარა წარმატებას აღწევს, ალადაშვილი უმალ თავს ესხმის დამსწრე საზოგადოებას.

## დატოვეთ დარბაზი!

21 მაისის სხდომაზე მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა, გვერდით მჯდომისთვის გადაჩურჩულების გამო, დარბაზიდან გააძევა ჟურნალისტი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წევრი ანა ჭავჭავაძე, რომელიც პროცესის დაწყებიდან აწარმოებდა მასზე დაკვირვებას.

"ვინ იცინის? ვინ ლაპარაკობს? რა თქვით? ადექით, დატოვეთ დარბაზი!" - ამგვარი ბრძანებებით ალადაშვილის მიერ გაძევებულ "დამნაშავეთა" რიცხვმა უკვე რეკორდულს მიაღწია. პარალელურად კი დაუსჯელი რჩება განსასჯელთა მისამართით გამოთქმული საკმაოდ გასაგები წყევლა-კრულვა, ჩამალული რეპლიკები და მოსამართლისთვის განკუთვნილი ინსტრუქციებიც კი. მიუხედავად ნუგზარ მოლოდინაშვილის თხოვნისა, მოსამართლეს დაეწყნარებინა ეგზალტირებული დარბაზი, ალადაშვილს არავითარი ზომები არ მიუღია დაზარალებულთა მიმართ.

ეს საერთო დაძაბულობა აშკარა ფსიქოლოგიური ზეწოლის ხასიათს ატარებს და მას ბუნებრივად მოჰყვება პროტესტები განსასჯელთა მხრიდან, მათი კონფლიქტი მოსამართლესთან, რომელიც იმ დღეს ნუგზარ მოლოდინაშვილის გაძევებით დასრულდა.

23 მაისის სხდომაზე კი ალადაშვილი აუხირდა გაზეთის "ადამიანის უფლებები" კორესპონდენტს და როდესაც განსასჯელები დაინტერესდნენ თუ რაშია საქმე, მოსამართლემ სრულიად გამაოგნებელი პასუხი მისცა - "ეს მე და მან ვიცით" (?!).

## ადამიანის უფლებათა დაცვა ბოროტებაა

"ბადრი ზარანდიასა და სხვათა" საქმის სასამართლო პროცესიდან უკვე გაძევებულია ყველა განსასჯელი. აგრესიულობაში გადაიზარდა მოსამართლე ლეონიძის დამოკიდებულება დარბაზში მსხდომთა მიმართ. უვნებელი შეკითხვისთვის მან დარბაზიდან გააძევა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი როლანდ გურგენიძე, რომელიც ამაოდ მოითხოვდა მოსამართლისგან განჩინების გამოტანას მისი გაძევების თაობაზე. ლეონიძემ განაცხადა, რომ მას აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამოტანის უფლება და საჩქაროდ უხმო პოლიციას "დამნაშავის" დარბაზიდან იძულებით გასაყვანად. ამას მოაყოლა კომენტარი: "ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაცია... რამდენი ბოროტებაა ამათ უკან..."

## ორიოდ სიტყვა დასკვნის სახით

სულ უფრო ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს საერთო ტენდენციასთან, რომლის მიზანია განაჩენის გამოტანა ფორსირებულად/ პრობლემების გარეშე. და ეს მიზანი სრულად გაცხადდა მას შემდეგ, რაც ყველასთვის საცნაური გახდა, რომ ხელისუფლება აგებს ორივე პროცესს: აგებს იურიდიულად, პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად. ამიტომაც იძულებულია მოიგლიჯოს დემოკრატიულობის ისედაც გამჭვირვალე ნიღაბი და, ჩვეული ტოტალიტარული ტრადიციისამებრ, ძალისმიერი ზეწოლისა და კონფლიქტების პროვოცირების მეთოდებს მიმართოს.

## ნუგზარ მოლოდინაშვილი მოითხოვს ჟურნალისტებთან შეხვედრას

მოსამართლე ალადაშვილის მიერ სასამართლო პროცესიდან გაძევებული უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომელიც იმყოფება სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საგამოძიებლო იზოლატორში, მოითხოვს 10 დღის განმავლობაში შეახვედრონ ჟურნალისტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, მიმართონ კანონით დაშვებულ ყველა საშულებას, რათა მიაღწიონ შეხვედრას პოლიტპატიმართან სუს-ს იზოლატორში.

# დრო, რომელიც ყველაფერს შლის... დრო, რომელიც არ აგებს პასუხს მომავლის წინაშე

ოდესმე ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ დემოკრატიული აყვავებისა და უბადლო პოლიტიკური მანევრირების ჟამს, ქვეყანა, რომლის ხელისუფლება მილიონობით კრედიტებს იღებდა მთელი მსოფლიოსგან და უანგარიშოდ გასცემდა თავის მომხრეებზე, ასეთ უსუსურ, კუსტარულ პირობებში ქმნიდა დოკუმენტურ ქრონიკას "გრანდიოზული" მიღწევების შესახებ. გაცვეთილი, დაბალი ხარისხის კასეტები, რომლებზედაც სხვადასხვა სიუჟეტები თუ პროგრამები (განსაკუთრებით საინფორმაციო ხასიათის) იწერება, ძნელი საოქმელია, რამდენად გაუძლებს დრო-ჟამს.

მომავალი თაობები კი უთუოდ მოიძიებენ ამა თუ იმ სახის ვიდეომასალას, თუნდაც ისტორიული განსჯის ან, უბრალოდ, რეტროთი დაინტერესების საბაბით და აღმოჩნდება, რომ ეპოქამ, რომელსაც ესოდენი პრეტენზია ჰქონდა საკუთარი ერის წიაღში ყოველგვარი პროვინციულობის, ფაშისტური ელემენტისა თუ დიქტატურის აღმოფხვრაზე, ვერ შექმნა ელემენტარული ვიდეოარქივი, რომელიც სისტემაში მოიყვანდა, თავს მოუყრიდა, მომავლისთვის შემოინახავდა ამ "ჰეროიკული" ბრძოლის ამსახავ მასალას. მეტიც, ისტორიას არ შემორჩება [illegible] ყოველდღიური უბირი თუ ირონიული ყოფის ამსახავი ქრონიკალური დოკუმენტები, რადგან დღევანდელი ტელე[illegible], აგერ უკვე მეექვსე წელია, ძირითადად სამოყვარულო ან ნახევრად პროფესიული, ავტორის მიერ სახლიდან მოტანილი კასეტებით მუშაობს და გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ არქივისთვის მასალა იკარგება - ავტორის კასეტა ისევ სახლში მიაქვს.

ადვილი შესაძლებელია, რომ ყველა დოკუმენტური მასალა ერთ მშვენიერ დღეს დაკარგული და გამქრალი აღმოჩნდეს. ტელევიზიის ამგვარი უსისტემობის, ქაოსურობის მიზეზი თავად ის მმართველი სისტემაა, რომელიც აბსურდულ და ტლანქ იდეოლოგიას გამიზნულად ახვევს თავს ჩვენს რეალობას - ისტორია ყოველწამიერ გადაიწერება; უკვე მომხდარი მოვლენების მნიშვნელობა და აქცენტები გამუდმებით იცვლება; მიმდინარეობს ახალი სიმართლის, ახალი ღირებულებების ძიების და დამკვიდრების განუწყვეტელი პროცესი.

წარმატებული "დემოკრატიული რევოლუციიდან" მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა - სიმართლეს ნულოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ეკრანზე აისახება არა ის, რაც სინამდვილეში ხდება, არამედ ის, რა შეფასებასაც აძლევს მომხდარს ოფიციოზი. შეფასებები კი, კონიუნქტურის თანახმად, სრულიად მოურიდებელ ტრანსფორმაციას განიცდის - ის, რაც გუშინ ცალსახა სიკეთედ იყო მონათლული, დღეს ბოროტებად ცხადდება - მმართველთ ასე აწყობთ, და ტელევიზიაც უსიტყვოდ ემორჩილება მათ "უზენაეს" ნებას. ცნობილი ყაჩაღები - დიდი პოლიტიკოსის პირადი მეგობრები, დემოკრატიისთვის მებრძოლ უანგარო რაინდებად სახელდებულნი, რომლებიც გუშინ გადაღებულ ფირებზე მოწყალედ ულიმოდნენ ჩამორჩენილ სამშობლოს, დღეს მტრად ცხადდებიან; დიდი მეთაურის უპირობო გამარჯვებები დიპლომატიურ თუ სამხედრო ასპარეზზე, დღევანდელი გადასახედიდან, იძულებით გადადგმულ, სხვათა ღალატით განპირობებულ უმნიშვნელო (დროებით) დამარცხებად ინათლება; სამეგრელოს გუშინდელი, ლამის ტრიუმფალური ძლევა დღეს უკვე დანაშაულად კვალიფიცირდება.

წარმოიდგინეთ, როგორი გაუგებარი, შესაძლოა, შემზარავიც კი გახდეს ერთ დღეს ის არქივი, რომელიც ამგვარი წინააღმდეგობრივი იდეოლოგიის "თავისებურებაზეა" აგებული. ხომ ვერასოდეს ვერავინ გაიგებს, როგორი იყო თუნდაც იგივე "მხედრიონის" როლი საქართველოს უახლეს ისტორიაში, სასწაული რომ მოხდეს და სიმართლე კი არა, მხოლოდ სატელევიზიო "დოკუმენტები" შემორჩეს მომავალს. "მხედრიონელები" ერთგან უსამართლობასთან მებრძოლი, ნაქები და გაიდეალებული ბიჭებია, მეორეგან - მკვლელები, კრიმინალები და ბანდიტები. ალბათ გახსოვთ ის დრო, ტელევიზია "მხედრიონს" ნაღვლიან ჰიმნს რომ უგალობდა - ვიდეოკლიპებზე "გულანთებული", "ალალმართალი" ბიჭები ლაღად, ბავშვური სიხალისით გუნდაობდნენ სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში თეთრ, შიშისგან გარინდებულ ზამთარში. ამ იდილიურ სურათს სულაც არ არღვევდა მხარზე "ნებრეჟნათ" გადაკიდებული იარაღი... მტრედებივით უწყინარ, საფრენად გამზადებულ ბიჭებს იქ დიდი მისია ეკისრებოდათ - დემოკრატიას ამკვიდრებდნენ. დამკვეთს ასე სურდა და ტელევიზიაც, ბრაზილიური ტელეფილმების მსგავსად, მთელ სერიალებს უძღვნიდა იმ დროის გმირებს; რუდუნებით თხზავდა, აკოწიწებდა "მხედრიონის" მღელვარე, გმირულ ეპოსს. სულ ცოტა ხანში კი იგივე ტელევიზიამ დაუნდობელი ნადირობა დაიწყო მის მიერვე "მშვიდობის მტრედებად" სახელდებულ ბიჭებზე; თითქმის სადისტური სიამოვნებით ამხელდა მათ სისასტიკესა და დაუნდობლობას, თუნდაც იგივე სამეგრელოში.

არადა, რომ არა კიბეებზე ჩაცუცქებული ტელეინტელიგენტების გამამხნევებელი ყიჟინა, სამხედრო საბჭოც ხომ ასეთი რიხითა და შემართებით ვერ იმოქმედებდა და იქნებ ტელევიზიის მიერ შექმნილ რევოლუციის ბელადებს - სამშობლოს მოღალატეებს, ომის გამჩაღებლებს, მძარცველებს და ხაზინის ქურდებს - თავიანთი ბოროტი ზრახვები ვერც განეხორციელებინათ.

დროის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა გადამწყვეტ მომენტში ტელევიზია აღჭურვილი აღმოჩნდებოდა ხოლმე მძიმე სამხედრო ტექნიკითა და იარაღით, მაგრამ "რატომღაც" რჩებოდა პროფესიული აპარატურისა და ტექნიკის გარეშე. დამკვეთს არასოდეს უზრუნია ამ მხრივ მის სათანადოდ აღჭურვაზე. ხომ უტყუარია, რომ ნორმალურ ქვეყანაში ყველა ტელეარხი უპირველეს ყოვლისა სწორედ ტექნიკურ აღჭურვილობას მოითხოვდა დამკვეთისგან. საქართველოში კი ვერც ერთი არხი (სახელმწიფო თუ "დამოუკიდებელი") ვერ ასცდა პროვინციული თეატრის პრიმიტიულ დონეს.

მაგრამ საქმეში კვლავ რუსეთი ჩაერია. რომ არა მისი ფინანსური თუ მორალური მხარდაჭერა, კიდევ დიდხანს არ გვექნებოდა ფერადბუროულებიანი სტუდია "აუდიენცია" - სხვა გადაცემათა შორის გამორჩეული უდავო უპირატესობით - რა მაღალი ტექნიკა, რა მდიდარი, როგორი უბადლო პროფესიონალიზმი, ფირის როგორი ხარისხი, როგორი ოპერატიულობა... ყმაწვილი დიქტორების დახვეწილი და უშეცდომო მეტყველება, ბორძიკისა და "სამარცხვინო" რბილი "ლ"-ს გარეშე - მართალი, პირუთვნელი, უშიშარი.

"აუდიენცია" თამამად ერევა საიდუმლო სამსახურების საქმიანობაში. გასაგებია - ხალხს არაფერი დაემალება. "აუდიენცია" ყოველდღიურად გვისახავს იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოწესრიგდება, რომ აღარ იპარპაშებენ მკვლელები და მძარცველები, აილაგმება ნარკომაფია, კრიმინალური სიტუაცია გამოსწორდება. ამიერიდან მოსახლეობის სიმშვიდეზე იზრუნებს "აუდიენციით" ზურგგამაგრებული პოლიცია, რომელმაც ხანგრძლივი, უკომპრომისო ბატალიების შედეგად, როგორც იქნა დაიკავა ოდესღაც ლეგენდარული "მხედრიონის" ადგილი.

მაგრამ მარტო ეს არა. სტუდია "აუდიენცია" ჩვენი მონოტონური ყოფის ესთეტიკურ სრულყოფაზეც ზრუნავს - მშვიდობიან ქვეყანას (მერე რა, რომ განახევრებულს და აოხრებულს) დამსახურებული, ჯანსაღი დასვენება სჭირდება. ამიტომაც ეპატიჟება "აუდიენცია" საქართველოში ცნობილ მომღერლებს. უკეთებს ორგანიზებას მათი კონცერტების "სათანადო დონეზე" ჩატარებას. რომ არა "აუდიენცია", ხომ ვერ დავტკბებოდით რუსული ესტრადის ვარსკვლავებით, სულ რაღაც 100-120 ლარად, ელიტარულ "მეტეხი-პალასში" საბანკეტო სუფრასთან უნისონში.

"აუდიენცია" იმდენად ყოვლისშემძლეა, რომ არაფრად ულირს უძრაობის პერიოდზე მტანჯველი ნოსტალგია მშვენიერ რეალობად გადაგვიქციოს: საბჭოთა საქართველოსთვის ოდესღაც მიუწვდომელი "ბონიემი", სულ რაღაც ოც ლარად (მიუხედავად უმნიშვნელო შეფერხებისა - სოლისტის უეცარი ავადმყოფობა), ცოცხლად აგვიმღეროს და მივიწყებულმა მელოდიებმა კომუნისტების დროინდელ შევარდნაძის ტკბილ ეპოქაში დაგვაბრუნოს.

უნდათ შეგვიქმნან ილუზია, რომ მეფობენ მეფენი და არა დრონი...

საქართველოში დღეს ცუდი დროა - დრო, რომელიც ყველაფერს შლის, რომელიც თავის ნაკვალევს დაუნდობლად ანადგურებს. აქ დამკვიდრებული იდეოლოგია, საყოველთაოდ აღიარებული ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, ებრძვის მეხსიერებას, ქმნის ისტორიას წარსულის გარეშე. ამგვარ იდეოლოგიას ტრიბუნად ამწამს გამოხატული, აწმყოიერი რეალობა სჭირდება, რომელიც, სწორედ ამ წარმავალობიდან გამომდინარე, არ აგებს პასუხს მომავლის წინაშე.

ფუჭი ილუზიაა. აქსიომად ქცეული ჭეშმარიტების თანახმად, რაც არ უნდა ხდებოდეს, როგორი უიმედოც არ უნდა ჩანდეს რეალობა, მეფობენ არა მეფენი, არამედ დრონი... დრო კი ის უმყარესი განზომილებაა, რომელიც, თვით ყველაზე გაავთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

წინ დიდი დროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნემზარ მოლოდინაშვილი

## საბოტაჟი ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან

ოქტომბრის სიტუაციის ასეთმა განმუხტვამ შეიძლება ხელისუფლებასაც შეუქმნა ილუზია, რომ მცოცავი პუტჩი დამარცხებული იყო, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობას თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანის შეიარაღებული ფორმირება.

22 ნოემბერს უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ნინუასგან პირადად მომივიდა ცნობა, რომ 19-21 დეკემბერს თბილისში დაგეგმილი იყო მასობრივი არეულობა. 23 ნოემბერს დანიშნული იყო უშიშროების საბჭოს სხდომა. ბატონ თამაზს ვთხოვე უფრო დაზუსტებული ინფორმაცია მოეწოდებინა. მისი გამოსვლის შემდეგ სიტყვით მივმართე საბჭოს - მართალია, ლაპარაკია მშვიდობიან პოლიტიკურ გამოსვლებზე, მაგრამ როცა თბილისის ზღვაზე დგას შეიარაღებული ფორმირება, რომელიც მთლიანად გამოსულია ხელისუფლების დაქვემდებარებიდან, ეს საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს-თქო, და უშიშროების საბჭოს წინაშე დავაყენე საკითხი, შედგენილიყო გეგმა ამ ფორმირების უვნებელსაყოფად. მე არ ვგულისხმობდი მაინცდამაინც მათ ლიკვიდაციას, ან შეიარაღებულ დაპირისპირებას. ამაზე პასუხი გამცა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბ. ქუთათელაძემ - პოლიტიკურად წამგებიანია კიტოვანის ხელის ხლება, ან მისი განიარაღება. უმჯობესია, მის ჩამოსვლას დაველოდოთო.

უშიშროების საბჭოს ვთხოვე წარმოედგინა სრული ანგარიში, როგორ აპირებდა ხელისუფლების დაცვას. ამაზე კვანტალიანმა, ქუთათელაძემ, გვენცაძემ ასეთი პასუხი გამცეს: თავდაცვის სამინისტროს აქვს დეტალურად დამუშავებული ოპერატიული გეგმა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების დაცვისა, თუ ამისი აუცილებლობა შეიქმნება. უზენაესი საბჭოს შენობაში ჩიტიც ვერ შემოფრინდება - განაცხადეს მათ.

მე არ დამაკმაყოფილა ამ პასუხმა და როცა მარტო დავრჩით, პრეზიდენტს ვუთხარი, რომ უშიშროების სამსახურის ცნობები სრულიად სანდო ჩანდა და აუცილებელი იყო თადარიგის დროულად დაჭერა. პრეზიდენტმა განმიმარტა, რომ იგი ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა უშიშროების სამსახურს. მისი აზრით, ამ უწყების ინფორმაციები შეიცავდა ძალისმიერი შანტაჟის ელემენტებს ჩვენი დაშინების მიზნით. შემდგომმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ მან გაცილებით მეტი იცოდა შექმნილ სიტუაციაზე, ვიდრე მე შემეძლო ამის ანალიზი ან განჭვრეტა.

ძალოვანი სტრუქტურების საბოტაჟი მას ართმევდა მანევრირების საშუალებას და დაიჯერებდა თუ არა ამ ცნობას, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველაფერი ღვთისა და რაფინირებული რეჟისორის ამარა რჩებოდა.

ნოემბრის ბოლოს, პირადი განცხადების საფუძველზე, გენერალური პროკურორის პოსტიდან გათავისუფლდა ვახტანგ რაზმაძე. რასაკვირველია, ეს ასე პროზაულად არ მომხდარა, ამას ჰქონდა თავისი პრელუდია, მაგრამ აქ ამაზე საუბარს ზედმეტად ვთვლი. ყოველ შემთხვევაში, ძალოვანი სტრუქტურებს, რომლებიც დიდი ხანია საბოტაჟს უწევდნენ ხელისუფლებას, პროკურატურაც დაემატა.

## დსთ საქართველოს გარეშე

საინტერესოა საქართველოს მოვლენების დამთხვევა საერთო მოვლენებთან. 20-22 დეკემბერს გაფორმდა სსრკ-ს გარდაცვალება. ამავე დროს ალმაათაში გაიმართა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შეკრება. მანამდე კი ბელოვეჟში ხელი მოეწერა ცნობილ ხელშეკრულებას - რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას და ყაზახეთს შორის, სადაც დაფიქსირდა დსთ-ს შექმნა. ამის შემდეგ სხვა რესპუბლიკებიც მოიწვიეს. 19 თუ 20 დეკემბერს ალმაათაში გაიმართა შეკრება. იქ გაგზავნილი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე. მან იქ პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველო ამ ეტაპზე ვერ მიიღებდა მონაწილეობას გაერთიანებაში, რომლის პირობები სრულიად გაურკვეველი იყო. არ ვიცოდით რა ყალიბდებოდა, რისთვის, როგორ.

ნემო ბურჭულაძე 21 დეკემბერს დაბრუნდა და აქ დახვდა ფიცხელი ბატალიები. მისი სიტყვებით, ალმაათაში ჩვენი უარი იყო ის ბოლო წვეთი, რომელმაც იმპერიისთვის დაუშვებელი გახადა გამსახურდიას დარჩენა საქართველოს ხელისუფლების სათავეში. იმპერიულ ზრახვებს საზღვრები არა აქვს და იგი ყოველთვის ახერხებს თავისი მიზნების განხორციელებას. ყველგან არიან ადამიანები, რომლებიც ამ ზრახვებს თავისი კარიერისტული მიზნებისთვის იყენებენ.

## 22 დეკემბრის დილა

მივუახლოვდით საქართველოს ისტორიაში საბედისწერო თარიღს - 1991 წლის 22 დეკემბერს. წესით, ნებისმიერმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ეს თარიღი გლოვის დღედ უნდა გამოაცხადოს, რადგან სწორედ აქედან იღებს სათავეს ყველა ის უბედურება და ტრაგედია, რომლის მომსწრენიც გავხდით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. დეკემბრის დასაწყისში გვარდია თითქმის ყაზარმულ მდგომარეობაზე იყო გადასული. ჩვენ უზენაეს საბჭოში ვიყავით დღე და ღამე. 21 დეკემბერს სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა. ამ დღეს ფაქტობრივად ოპოზიციამ შეტევა მიიტანა მშვიდობიან ხალხზე. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებამ გადაკეტა ქუჩა. ეს არ უნდა ავურიოთ იმ ბრალდებაში, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უყენებდა ოპოზიციას. ხელისუფლებას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე გადაკეტოს ქუჩა, თუ უნდა, შეუძლია საერთოდ გადაიტანოს ის ქუჩა.

იმ საღამოს გაიმართა სიტყვიერი დავა ოპოზიციასა და ხელისუფლების მომხრეთა შორის. იყო მოთხოვნები, გაეყვანათ ავტობუსები და საერთო მშვიდობიანი მიტინგი ჩაეტარებინათ. ამ მოთხოვნას აყენებდა მხარე, რომელიც უკვე კბილებამდე იყო შეიარაღებული.

დილით, დაახლოებით 8 საათისთვის მოვიდა ცნობა, რომ მეტრო "თავისუფლების მოედანთან" შეიარაღებული ოპოზიციური ძალების მიერ დატყვევებულ იქნენ ავთანდილ რცხილაძე და ქალაქის მერი თ. ვაშაძე. ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია და გაისმა პირველი სროლა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ვერც რ. გვენცაძე, ვერც ჯ. სიხარულიძე და ვერც მე ვერ გეტყვით დანამდვილებით, რა მოხდა იქ, ვინ დაიწყო სროლა. ამას არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. არის ჩეხოვის ძალიან ცნობილი გამოთქმა - "როცა კედელზე კიდია თოფი, ამ თოფმა უნდა გაისროლოს." თოფს უნდა გაესროლა, და ვინ გაისროლა, ამის რკვევა სრულიად უაზროდ მიმაჩნია. არის ერთი საკითხი, რის გამოც ვერავინ (ჩემი ჩათვლით) ვერ ავიცილებთ პასუხისმგებლობას - ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაეცვა თავი. ეს არცთუ ისეთი იოლი საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, ვის წინააღმდეგ იბრძოდა ახალფეხადგმული ეროვნული სახელმწიფო. მე ვლაპარაკობ პასუხისმგებლობაზე და არა დანაშაულზე. დღეს საქმეს ისე წარმოადგენენ, რომ ეს იყო შიდაქართული კონფლიქტი; თითქოს შესაძლებელია, რომ 200-მა ადამიანმა (თუნდაც თავზეხელაღებულმა) დროში გაჭიმულ ვადებში დაამხოს ხელისუფლება. მოკლე ვადაში ეს 15 კაცსაც შეუძლია.

ისინი სულაც არ იყვნენ დილეტანტები. უბრალოდ, სცენარი მოითხოვდა იმას, რაც ხდებოდა გარეგნულად და რაც შემდეგ დაფიქსირდა, სხვათა შორის, პროკურატურის საქმეებში.

საქმის გასარკვევად გავიდა რომან გვენცაძე და პირველი სკოლის შენობასთან ფეხში იქნა დაჭრილი. ეტყობა, იმდენად ბევრი სისხლი დაღვარა, რომ მას დაავიწყდა, ვინ ესროლა და საიდან.

ამ გასროლას საარტილერიო სროლა მოჰყვა დაუყოვნებლივ. პირველი, რაც განადგურდა, იყო პრეზიდენტის კაბინეტი. აუცილებელი გახდა მისი გადაყვანა უფრო უსაფრთხო ადგილას. ასეთ ადგილად მიჩნეულ იქნა მთავრობის სამეურნეო სამმართველოს უფროსის კაბინეტი, რომელიც პროსპექტზე არ გადიოდა.

## რაზმაძეს პრეზიდენტი უნდა დაეპატიმრებინა

მე მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ უმტკიცებდა ბ. ქუთათელაძე პრეზიდენტს, საბრძოლო მოქმედების დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ, მისი გადადგომის აუცილებლობას, რადგან ტყვია-წამალი მხოლოდ ნახევარი საათის სამყოფიღა იყო დარჩენილი. სწორედ მაშინ, ცხოვრებაში პირველად, გამიჩნდა სურვილი ტყვია მესროლა ადამიანისთვის.

ბ. ქუთათელაძის განცხადებამ პრეზიდენტი, რასაკვირველია, სერიოზულად შეაფიქრიანა, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს უნდათ წარმოადგინონ - თითქოს მზად იყო დაეტოვებინა პოსტი, ან უარი ეთქვა თავისი მოვალეობის შესრულებაზე.

იგი ცოტა ხნით განმარტოვდა თავის კაბინეტში. შემდეგ კი ხვდებოდა სხვადასხვა პირებს კონსულტაციების მიზნით. ჰქონდა პირდაპირი სატელეფონო საუბარი ოპოზიციის შტაბთან სასტუმრო "თბილისში". ზვიად გამსახურდიას წაუყენეს ულტიმატუმი - დაუყოვნებლივ გადამდგარიყო და ერთ საათში დაეტოვებინა უზენაესი საბჭოს შენობა. სანაცვლოდ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას სთავაზობდნენ როგორც მას, ასევე მისი ოჯახის წევრებს. ეს, ცხადია, ფიქცია იყო.

მე ორჯერ მომეცა საშუალება დაველაპარაკებოდი ვახტანგ რაზმაძეს. ერთ-ერთი საუბრის დროს მან მითხრა: "მე არ ვიცი, ვინ რა გარანტიას აძლევდა პრეზიდენტს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით გეუბნები, მე მქონდა ბრძანება, როგორც კი პრეზიდენტი დატოვებდა უზენაესი საბჭოს შენობას, დაუყოვნებლივ დამეპატიმრებინა"

(გაგრძელება იქნება)

# დააძვრეს თუ არა ბენდელიანს ფრჩხილები?

ბადრი ზარანდიას და სხვათა სასამართლო პროცესში მონაწილე ერთ-ერთი განსასჯელი - გაბრიელ (დათო) ბენდელიანი, მისი ჩვენების მიხედვით, სასტიკად იყო ნაწამები. წინასწარი გამოძიების დროს მას დააძვრეს ფეხის ფრჩხილები. სასამართლოზე დაკითხული მოწმეები - ზუგდიდის პოლიციის სამძებრო თანამშრომლები, ცხადია, უარყოფდნენ ამ ფაქტს, რადგან წამებაში სწორედ მათ ადანაშაულებდა განსასჯელი ბენდელიანი. მოსამართლე ჯ. ლეონიძემ კვლავ არ გაიზიარა დამცველის შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ, ამიტომ ბენდელიანის წამების ფაქტი, შესაძლოა, ვინმეს საეჭვო ან დაუზუსტებელი მოეჩვენოს. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ სოფელ ოდიშის მკვიდრის, ქ-ნ ჯულიეტა ბიგვავას მონაითხრობს:

"ვეძებდი ჩემს შვილს, რომელიც დაკავებული იყო. მივედი ზუგდიდის იზოლატორში. ამ დროს იქიდან გამოვიდა ჩემი სოფლის მკვიდრი დათო ხვიჩია, რომელსაც ვკითხე, ჩემი შვილი ხომ არ ენახა. მან ჩემი შვილის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ მითხრა, რომ იქ ნახა დათო ბენდელიანი, რომელმაც მოუთხრო, როგორ დააძვრეს ფეხის თითებზე ფრჩხილები და მისცა მას ერთი ფრჩხილი - შემინახეო. ამის შემდეგ დათო ხვიჩიამ ამოიღო ნაჭერში შეხვეული დიდი თითის გასისხლიანებული ფრჩხილი და მაჩვენა. მე ძალიან გამიკვირდა - თურმე რა დიდი ყოფილა ფრჩხილი და ხორცი ეფარება. მერე ისევ შეახვია და თან წაიღო. აქ მოსმენილ ჩვენებებს არ დავუჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა."

თვით თბილისელმა გამომძიებლებმა - ა. ქურხულიშვილმა და რ. ზარანდიამაც ვერ უარყვეს თავიანთ ჩვენებებში ის ფაქტი, რომ განსასჯელ ბენდელიანის წამებისა და ფრჩხილების დაძრობის შესახებ მათაც სმენოდათ სხვადასხვა წყაროებიდან.

# მოწმეების დაკითხვა გრძელდება

გასულ კვირას, ზარანდიასა და სხვათა პოლიტიკურ სასამართლო პროცესზე, დაიკითხნენ დაცვის მიერ წარმოდგენილი მოწმეები. განსასჯელები არამარტო უარყოფენ 1994 წლის 16 მაისს ოთხი პირის მკვლელობაში მონაწილეობას, არამედ კონკრეტულად ასახელებენ, სად და ვისთან ერთად იმყოფებოდნენ იმ დროს. მათი ალიბის დამადასტურებელი მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობდა სასამართლო კოლეგიისთვის უკვე წესად ქცეული ტენდენციურობით.

დამსწრეთათვის ნათელი გახდა, რომ თავდასხმის დღეს ბადრი ზარანდია არ შეიძლებოდა ყოფილიყო დანაშაულის ადგილას. იგი იმყოფებოდა წვეულებაზე სოსო ჯიჭონაიას ოჯახში 10-12 სხვა პირთან ერთად. სწორედ ამ დროს გაიგონეს სუფრასთან მსხდომებმა სროლის ხმა.

გურგენ მალანია ერთი კვირის განმავლობაში, 12-დან 20 მაისამდე, იმყოფებოდა თბილისში თავის დასთან, რასაც მისი ოჯახის წევრების გარდა ადასტურებენ მეზობლებიც და დიასახლისიც.

კახა ჯიჭონაია კი, მთელი ერთი კვირის განმავლობაში, იყო თავისი ბიძის დაკრძალვაზე, სადაც შეიტყო მომხდარი მკვლელობის შესახებ. ამას ადასტურებენ ნათესავები და თანასოფლელები.

მოწმე მარინე კაკაჩია-მანია, სოფელ ოდიშის მცხოვრები, ადასტურებს, რომ წალენჯიხის პოლიციაში დაკითხვის დროს ნახა ზვიად შეროზია, რომელიც იმ დღეს დააპატიმრეს. მას თეთრი შარვალი სისხლში ჰქონდა მოსვრილი. მ. კაკაჩია-მანიას შეკითხვაზე, თუ რა დაემართა შეროზიას, გამომძიებლებმა უპასუხეს - ფეხი მოიფხანაო.

ბატალიონ კოლხეთის მეთაური ანზორ ჩხეიძე ადასტურებს, რომ აფხაზეთში, ტამიშის განთავისუფლების დროს, მასთან ერთად იბრძოდა ზუგდიდის კომენდატურის ასეული ბადრი ზარანდიას მეთაურობით. მას ტყვიამფრქვევი ხელიდან არ გაუშვია 12 საათის განმავლობაში. ამ დროს იქ იყვნენ სამთავრობო გვარდიის გენერლებიც - უჩაძე და თოხაძე. სოხუმის დაცემის შემდეგ ბადრი ზარანდიას და მის ჯგუფს ლტოლვილები გადმოჰყავდათ კოდორზე. მაშინ უამრავი ადამიანი გადარჩა ზარანდიას წყალობით.

მოწმე დუგლას ვაწინძემ, სოფელ ოდიშის მკვიდრმა, დაადასტურა, რომ ბადრი ზარანდიასთან ერთად იმყოფებოდა წვეულებაზე. ამის საპირისპიროდ მოსამართლემ გამოაქვეყნა წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემული ჩვენება, სადაც სრულიად სხვაგვარად იყო აღწერილი 16 მაისის ვითარება. მოწმის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ხოლო როდესაც წარუდგინეს თითქოსდა თავისი ხელმოწერა დაკითხვის ოქმზე, განაცხადა, რომ ხელწერა მისი არ არის; საქმის ბოლო ფურცელზე აღწერილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება, მას ასეთი ჩვენება არ მიუცია და ამ ფურცელზე ხელი არ მოუწერია.

ბადრი ზარანდიასა და სხვათა სასამართლო პროცესზე დაგეგმილი იყო ჯამბულ ბოკუჩავასა და ვახტანგ (ლოთი) ქობალიას დაკითხვა მოწმეებად. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იგი არავითარ ჩვენებას არ მისცემს, სანამ განსასჯელებს სხდომაზე არ დააბრუნებენ.

მოსამართლის კითხვაზე - რა იცის წალენჯიხის პოლიციის უფროსის მკვლელობის შესახებ, ჯამბულ ბოკუჩავამ უპასუხა, რომ გ.კალანდიას იგი კარგად იცნობდა; კანონიერ ხელისუფლებას კალანდია ხშირად მიმართავდა დახმარებისთვის და არაერთხელ მიუღია გვარდიის სამმართველოდან იარაღი და ტყვია-წამალი, რაც თავის რაიონში წესრიგის აღსადგენად სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, მოწმე ბოკუჩავა მიიჩნევს, რომ მისი მოკვლის არავითარი საფუძველი კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს არ შეიძლება ჰქონოდათ.

გასული კვირის განმავლობაში მოსამართლე ლეონიძემ გაამკაცრა პროცესის მიმდინარეობის რეჟიმი, რამაც კულმინაციას მიაღწია 24 მაისს: მან არათუ არ დააკმაყოფილა ადვოკატთა არც ერთი შუამდგომლობა განსასჯელთა ალიბის დამადასტურებელი მოწმეების დაკითხვის თაობაზე, არამედ სრულიად მოულოდნელად დაუჭირა მხარი პროკურორის წინადადებას მოწმეთა დაკითხვის საერთოდ შეწყვეტის შესახებ, რითაც საბოლოოდ დაადასტურა სასამართლოს ბრმა მორჩილება ბრალდების პოზიციისადმი.

ამგვარად, ორშაბათიდან დაიწყო წინასწარი გამოძიების მასალების გამოქვეყნება, რაც მეტისმეტად აძლევს ხელს პროკურატურასა და მის მორჩილ სასამართლო კოლეგიას, რადგან, როგორც გვახსოვს, მასში მოიპოვება წამებით მიღებული აღიარებითი ჩვენებები. საფიქრებელია, რომ განაჩენი, რომელიც ფაქტობრივად გამოტანილია, უკვე იწერება კიდეც.

# გაძევებული მოშიმშილე განსასჯელების ჯანმრთელობა გაუარესდა

სამხედრო ტყვე ბადრი ზარანდიას განცხადებებმა ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო - იგი კვლავ იმყოფება №1 იზოლატორის სანიტარულ ნაწილში და ამაოდ ელოდება ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას. ამპუტირებული ფეხის ნაჭრილობევის გაღიზიანებისა და ვენების გადაჭრის შემდგომ მას დაუმძიმდა ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა იმის გამო, რომ ნაჭრილობევით გამოწვეულმა ანთებითმა პროცესმა სხვა ორგანოებიც ჩაითრია, რასაც თან ახლავს მძაფრი ტკივილები, შეშუპება და მაღალი ტემპერატურა. ამასთან ერთად, იგი განაგრძობს საპროტესტო შიმშილობას მისი სასამართლო პროცესიდან უკანონო გაძევებისა და სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.

საპროტესტო შიმშილობას განაგრძობენ განსასჯელები - ზვიად შეროზია, გურგენ მალანია, დათო ბენდელიანი და მურმან გულუა. 17 მაისს ისინი ჩაიყვანეს სარდაფში, რომელიც რეალურად კარცერს წარმოადგენს. მათ უარი თქვეს წყლის მიღებაზე. სამი დღის თავზე გადაიყვანეს განცალკევებულ, №27 საკანში. ამის შემდგომ დაუპირეს ძალით, რეზინის მილით ფაფის ჭმევა, რის გამოც ზვიად შეროზიას ჰქონდა ვენების გადაჭრის მცდელობა. მათი მოთხოვნაა - ბადრი ზარანდიასთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და სასამართლო პროცესზე დაბრუნება.

7 მაისიდან მოყოლებული, დაცვის მხარემ სხვადასხვა მოტივით არაერთხელ მიმართა შუამდგომლობით სასამართლო კოლეგიას განსასჯელთა სხდომაზე დაბრუნებასთან დაკავშირებით. კოლეგიის თავმჯდომარე ლეონიძე ამ შუამდგომლობებს აღარც განიხილავს, რადგან განსასჯელების განცხადებაში არ არის მონანიება - "ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი იმის შესახებ, რაც აქ, დარბაზში ხდებოდა ერთი საათის განმავლობაში". ცხადია, ლეონიძე იმაზე არაფერს ამბობს, რომ 7 მაისს უზენაესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში აურზაური მოხდა განსასჯელთა გაძევების შემდეგ და არა მანამდე.

როგორც მარინე ზარანდიამ გვაცნობა, თავისი ძმის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მან მიმართა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც 2 კვირის განმავლობაში ვერ შეძლო პატიმრის ნახვა, რადგან მას დაბრკოლებებს უქმნიან ადმინისტრაციული ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

Dissident – Präsident – Märtyrer



## მეექვსე თავი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ

საქართველოს პუტჩმა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ „დემოკრატიულ რევოლუციად" მონათლა, მოსკოვის 1991 წლის აგვისტოს პუტჩთან შედარებით, უხმაუროდ ჩაიარა. თუმცა, ტანკების, ქვემეხებისა და რაკეტების გამოყენებით, მთავრობის სასახლეც დაანგრიეს და რუსთაველის პროსპექტიც.

მოგვიანებით ტელევიზიით აჩვენეს კადრები, რომელთა მეშვეობითაც გამოაშკარავდნენ პუტჩის რეალური განმხორციელებლები: სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები ცეცხლმოკიდებული შენობის გადარჩენილ ნაწილში შამპანურს მიირთმევდნენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ. არსად ჩანდა ხალხი, რომელსაც ამ „რევოლუციის" მოწყობა მიეწერებოდა. სრულიად ნათელი იყო, ვინ იდგა საქართველოს თავს დატრიალებული ამ დიდი უბედურების უკან.

კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდეგ, 1992 წლიდან კვლავ განახლდა მანიფესტაციები. პრეზიდენტის მომხრეები ითხოვდნენ ხუნტის ხელისუფლების გაუქმებას და ქვეყანაში კანონიერების აღდგენას. სამხედრო საბჭო ამ მიტინგებს სასტიკად უსწორდებოდა.

პოლიცია კრიმინალებისგან იყო დაკომპლექტებული. ყოფილ დამნაშავეთა შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორი ტელევიზიით აცხადებდა, რომ ისინი შეწყნარებულნი არიან თავისი დიდი დამსახურებისთვის რევოლუციის წინაშე (ის ლაპარაკობდა ციხიდან 4000 პატიმრის გათავისუფლების შესახებ).

პოლიციას არც კიტოვანის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გვარდია ჩამოუვარდებოდა. თავად კიტოვანი სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. მისი გვარდიელები ხელკეტებით და იარაღით არბევდნენ დემონსტრანტებს. დარბევისას დაგეშილ ძაღლებსაც კი იყენებდნენ. 2 თებერვალს, ერთ-ერთი ხალხმრავალი მიტინგის დარბევის დროს, გვარდიელები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ მანიფესტანტებს. იმ დღეს ათი მომიტინგე იქნა მოკლული, ხოლო უამრავი ადამიანი დაიჭრა.

ჯაბა იოსელიანიც სამხედრო საბჭოს წევრი იყო. ის თეატრმცოდნეობის პროფესორად მუშაობდა. უფრო ადრე კი სასჯელს იხდიდა საიუველირო მაღაზიაზე თავდასხმის დროს ქალის მკვლელობის გამო. საქართველოს მეორე რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ის კვლავ ციხეში აღმოჩნდა - ამჯერად ბანდიტიზმისთვის. როცა შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაური გახდა, იოსელიანი თავის მოადგილედ დანიშნა. იგი ამბობდა: „ჩვენ კარგად ვმუშაობთ ერთად დემოკრატიული საზოგადოების აშენებისთვის, ხოლო რა ჩაიდინა იოსელიანმა ბავშვობაში, მე არ მაინტერესებს".

ამერიკის სახელმწიფო მდივანს, ჯეიმს ბეიკერს, მეტად საგულისხმო სურათი გადაეშალა თვალწინ 1992 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე, როცა თავის ყოფილ კოლეგას - შევარდნაძეს ესტუმრა თბილისში. ის ცენტრალურ მოედანზე საგანგებოდ მოწყობილ საპატიო ტრიბუნაზე იდგა თავის მასპინძლების - შევარდნაძისა და იოსელიანის გვერდით. როცა ბეიკერმა მისალმების პირველი სიტყვები წარმოთქვა, სადაც საქართველოს მხურვალედ ულოცავდა დემოკრატიის გზაზე მიღწეულ დიდ წარმატებებს, გამაყრუებელი ხმაური ატყდა. ხალხის ყვირილისა და მიმდებარე ქუჩებზე სროლის ხმის მიუხედავად, ბეიკერმა შეუფერხებლად დაასრულა თავისი სიტყვა. ხალხის უზარმაზარი მასა, რომელიც მოედნისკენ მიიწევდა, დემოკრატიზაციის აქ მიღებული სისხლიანი ნორმების თანახმად, სასტიკად იქნა დარბეული. ამერიკის სახელმწიფო მდივანს არაფერი გაუგია ამ დარბევის შესახებ, რადგან მოედანზე განლაგებული მეგაფონებით გაძლიერებულმა მისმა ხმამ წარმატებით გადაფარა ყველა სხვა ხმაური.

ოქტომბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. ოფიციოზმა მოსახლეობის მიმართ მუქარის მთელი არსენალი გამოიყენა. ბევრს სამსახურიდან დათხოვნითაც ემუქრებოდნენ. ზეწოლის შედეგად, ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი მივიდა საარჩევნო უბნებში. განდევნილი ხელისუფლების მომხრეებმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

წინასწარვე გადაწყვეტილი იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობის ერთადერთი კანდიდატი - ედუარდ შევარდნაძე, ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვებდა. „დემოკრატიულმა ვითარებამ" სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ოფიციალურად მოწვეულ უცხოელ დამკვირვებლებზე, რომლებიც „მეტეხი პალას ოტელიდან" პირდაპირ საარჩევნო უბნებში მივიდნენ და მალევე დაბრუნდნენ სასტუმროში. სხვაგვარად აღიქვეს მოვლენები ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფების წარმომადგენლებმა. ამ არჩევნებზე მრავალრიცხოვანი დარღვევები ასევე დააფიქსირეს გაზეთის „Neue Zuricher Zeitung" კორესპონდენტმა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

საქართველოში კვლავ აღდგა ძველი ნომენკლატურული მთავრობა, რომელიც, ძალაუფლების დაკარგვის შიშით, მთლიანად მოექცა „დემოკრატიული" არჩევნების გზით სახელმწიფოს სათავეში მოსულ ბანდიტთა გავლენის ქვეშ. თუ უწინდელ დროში ყაჩაღად გავარდნილნი რაღაც წესებს მაინც ემორჩილებოდნენ, ახლა სრული განუკითხაობა გამეფდა. შეიქმნა „თავისუფალი ბაზარი" თავისუფალი ყაჩაღებისთვის, რომელთაც თავად შევარდნაძე და იოსელიანი უწევდნენ მფარველობას. შექმნილ პირობებში მრავალმა მეწარმემ დახურა საწარმო იმ დრომდე, სანამ უსაფრთხო გახდებოდა მათი ნორმალური ფუნქციონირება. არსებობდა სხვა ასპექტიც - სახელმწიფო რეკეტი. მაღალი რანგის მოხელეები ღიად ითხოვდნენ წილს საწარმოებისგან. მაგალითად, ერთ-ერთი სერიოზული ბიზნესმენი დაინტერესებული იყო მინერალური წყლის საწარმოს აღდგენით. აღმოჩნდა, რომ საწარმო კიტოვანის „მეთვალყურეობის" ქვეშ იმყოფებოდა და იგი მოგების 50 პროცენტს ითხოვდა. ბიზნესმენმა შეურაცხმყოფლად მიიჩნია ამგვარი ხარკის გადახდა და საერთოდ უარი თქვა ამ პროექტის განხორციელებაზე.

მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრებას ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები გამსახურდიას მმართველობის დროსაც ცდილობდნენ. ეს მეტად სერიოზული დაბრკოლება იყო იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზაზე. 1992 წლის ზაფხულში, გერმანელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში, უკვე დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ამბობდა: „ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნით, პირველ რიგში შევიმუშავეთ საპრივატიზაციო კანონი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა, რადგან საქართველოში, ცხადია, მთავრობასთან შეუთანხმებლად, უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა არალეგალური პრივატიზაცია. როცა გაცხადდა, რომ მე კანონიერი სტრუქტურების შექმნას ვაპირებდი და არ დავუშვებდი არავითარ თვითნებობას, მაფიამ სასტიკი ომი გამომიცხადა. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ძარცვის, არალეგალური პრივატიზაციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის. საბჭოთა სისტემის ბაზისს სწორედ ჩრდილოვანი ეკონომიკა ქმნიდა და ასე გრძელდება დღემდე, რაც ფაქტობრივად მაფიის ლეგალიზებას ნიშნავს."

სამწუხაროდ, პრეზიდენტის სიტყვები გამართლდა. საქართველოს მმართველობის სათავეში მაფია მოვიდა. მოხდა მისი სრული ლეგალიზება. არსებული რეჟიმის გაბატონებას მოჰყვა ჩრდილოვანი ეკონომიკის აღზევება. სხვა უსიამოვნებებთან ერთად, შეწყდა ელექტროენერგიის, გაზისა და ნავთობის მოწოდება, რამაც დიდი ხნით შეზღუდა ქვეყანაში წარმოების განვითარება.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

# TAVISUPALI SAKARTVELO

## (FREE GEORGIA)

## №19 (in brief)

## 28 May - 3 June 1996

### The State of Health of the Defendants Removed from the Court Hall Aggravated

The statements of the prisoner of war Badri Zarandia so far remain unfruitful - he is still being kept in #1 Isolator standard cell and is in vain waiting for being moved to the Prison Republican Hospital. After he had developed inflammation in the stump of his amputed leg and made an attempt to commit suicide by cutting the veins on both hands, the general state of his health aggravated since the ongoing inflammatory processes involved other organs which is accompanied by severe panis, edema and high fever. At the same time he continues his hunger-strike as a protest against his unlawful removal from the Court Hearing and refusal to provide him with adequate medical aid.

The defendants Zviad Sherozia, Gurgen Malaria, Dato Bendeliani and Mirian Gulua continue their protest hunger-strike. On may 17 they were taken downstairs to the cellar which is actually nothing but a lock-up. They were refused water. On the third day they were moved to the isolated #27 cell. There an attempt was made to forcibly feed them using a rubber tube, which resulted in attempt of Zviad Sherozia to cut his veins. the hunger-strikers demand to render medical aid to Badri Zarandia and return him to the Court hearing.

From May 7 the defense under various motives made motions to the Judge asking to return the defendants to the Court hearing. The Chairman of the Court board Leonidze even does not bother himself with considering these motions, since in their statements the defendants do not repent: "Not a single word to mention what was going on in the hall during one hour". Obviously, Leonidze does not mention the fact that riot in the Court hall occurred after the removal of the defendants from the Court hearing on May 7, not before it. As Marine Zarandia informed us she had appealed to the International red Cross organization in relation to the health state of her brother. The representative of this organization could not manage for two week to see her brother since the administrative bodies do anything not to allow this visit.

### TO MASS MEDIA TO THE INTERNATIONAL ORGANIZATION ON HUMAN RIGHTS TO THE EMBASSIES OF FOREIGN COUNTRIES

On May 21 st defendant Nugzar Molodinashvili a member of the Supreme Council in exile, one of the leaders of Helsinki Union of the Republic of Georgia was banished from the heading of the case of Zviad Gamsakhurdia and his supporters by the judge Alexander Aladashvili.

Since the beginning of the trial the activities of Alexander Aladashvili have been obviously tendentious. He systematically restricted the rights of the defendants for defence. Aladashvili didn't do anything in order to forbid insulting of the defendants by the relatives of victims.

All this made the conflict between the defendants (Nugzar Molodinashvili in particular) and the Judge inevitable and this conflict was followed by the above-mentioned verdict.

At present N. Molodinashvili is being kept in the "isolator" of the Security Service and is demanding to be given an opportunity to meet with journalists and representatives of international organizations.

We appeal to you with the request to arrange the meeting with him and to help us see him as well.

**Individual Members ISHR**
*Lia Beruashvili*
*Maia Kereselidze*
*Ana Chavchavadze*

### Were or Were not Bendeliani's Toe Nails Pulled Out?

**At the Court Hearing of Badri Zarandia and others case one of the participants, the defendant Gabriel (Dato) Bendeliani is claiming that he was subjected to inhuman tortures. In the course of preliminary investigation his toe nails were pulled out. The witnesses interrogated in the Court: the officers of Investigation Department, naturally denied this fact since the defendant accused them as the direct executors of tortures. The Judge J. Leonidze again rejected the motion of the defenders concerning interrogation of the additional witnesses, thus making the fact of Bendeliani's torturing dubious. In relation to this fact below is provided the story told by the resident of the village of Odishi, Mrs. Julietta Bigvava:**

"I was looking for my son, who had been detained. So I went to Zugdidi Isolator and saw the resident of my village Dato Khvichia whom I asked if he had any information about my son. He did not know anything about him, instead he told me that saw Dato Bendeliani who had told him how his toe nails had been pulled out and gave him one of his nails as a proof and asked him to store it. Dato Khvichia took out something wrapped in a cloth and when he unwrapped it I saw the blood stained toe finger. I was very surprised to see that the toe finger could be so big under the skin which covers it. Then he wrapped the nail again and put it into his pocket. I would not have believed it had I not seen it myself".

Even Tbilisi investigators A. Kurkhulishvili and R. Zarandia could not deny in their testimonies the fact that they have heard about torturing Bendeliani and pulling his to nails out from other sources.

### Interrogation of the Witnesses Continues

Last Sunday at the political Court Hearing of Zarandia and others case were interrogated the witnesses of defense. The defendants not only deny that they had participated in the murder of four persons on May 16, 1994, but they name the place, time and people they were with at the moment of murder. The interrogation of the witnesses who can confirm their alibi proceeded with habitual biased attitude of the Court Board.

To the audience became evident, that on the day of crime Badri Zarandia could not be on the place of crime. He was at the dinner in Soso Jichonaia's family together with 10-12 other people.

Gurgen Malania was in Tbilisi visiting his sister from May 10 to May 20, to which testify his family members, neighbors and his sister.

Kakha Jichonaia was with his late uncle's family helping them with the ceremony of funeral. It was there that he had first heard about the murder. This is confirmed by the neighbors and relatives.

The witness Kakachia-Mania, the resident of the village of Odishi confirms that during interrogation at the Tsalenjikha Police Department she saw Zviad Sherozia whose white trousers were stained with blood and who had been arrested that day. When M. Kakachia-Mania asked what had happened with Sherozia the investigators answered that he had scratched his itching leg.

The witness Duglas Vatsindze who is the resident of the village of Odishi, confirmed that he together with Badri Zarandia was at the dinner. The Judge read the testimony of the witness given during the preliminary investigation where the situation of May 16 was described in absolutely different way. The witness could not help surprise. When he was shown what they called his signature, the witness stated that it was not his signature; the facts described in the last sheet of the case had nothing to do with the truth; he had never given such testimony and had never signed that sheet. During the last week the judge Leonidze made the regime of the Court hearing more strict, the peak of it being observed on May 26 - he not only refused to satisfy any of the lawyers' motions concerning interrogation of the witnesses confirming the alibi of the defendants, but all of a sudden supported the offer of the Prosecutor to cease interrogation of the witnesses, thus finally confirming his blind obedience to the position of Prosecutor.

Thus, from Monday began the reading of the materials of the preliminary investigation, which is most favorable for Prosecutor's Office and Court Board, since as we remember, these materials contain the confessions obtained as a result of tortures.

It seems the verdict which is actually already pronounced is in the process of writing.

### Removal of the Observers from the Court Hall Continues

The attitude of the Judge Leonidze towards those who were attending the Court hearing progressed to open aggression. For quite an innocent question he had removed the representative of the Human Rights Organization Roland Gurgenidze, who vainly demanded from the judge to make an official decision about his removal. Leonidze declared that he had the right to make individual decision and promptly called the police to forcible remove the "culprit" from the hall. To this he added: "Human Rights Organization... Who know how many evil had it made; Can't the understand?"

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia